ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

„განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა, განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ„

2024 წელი 28 თებერვალი №2 (8201) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

მოლოდინი, რომელიც სიხარულით გვავსებს გვ5.

კრებები და კონსულტაციები მოსახლეობასთან გვ2.

სოფელ ქვემო გომში სანავშვო ბაღი შენდება გვ5.

გვ2. ახალი სპეცტექნიკა

თბილისის ქუჩაზე გვ2.

„მამულო, სიცოცხლეო!„ გვ4.

გვ6. „კასპი — 1936" — ნინასასეზონო, მოსამზადებელი

გვ7. ირაკლი კლიმიაშვილმა კარიერა დაასრულა, მაგრამ

გვ7. ფეხბურთში რჩება

გარდასულ დღეთა მემატიანეები გვ4.

გვ3. თეა ქუტაშვილი „ჩემი ზამთარი"

ლადუნა ჯავახიშვილი „ჩემი სექტემბერი, ვარსკვლავნიჟუნა და „...

გვ3.

გახედეთ ჩვენი შვილები

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" - კასპი 2024

კასპის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში მოსახლეობასთან კრებები და კონსულტაციები 29 იანვარს დაიწყო და 16 თებერვალს დასრულდა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" ითვალისწინებს სოფელზე გამოყოფილი თანხის ოდენობის მიხედვით მათთვის მნიშვნელოვანი პროექტების შერჩევას, რომელიც ხმათა უმრავლესობის გადაწყვეტილებით იქნება მიღებული და შემდეგ განხორციელებული.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში მუნიციპალიტეტს - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 950 000 ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტის ყველა სოფელზე მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე განაწილდა.

მოსახლეობასთან კრებები და კონსულტაციები მუნიციპალიტეტის 17 ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში გაიმართა.

შეხვედრებზე ადგილობრივების უშუალო ჩართულობით განსახორციელებელი პროექტები ხმათა უმრავლესობით, პრიორიტეტებიდან გამომდინარე შეირჩა.

შეხვედრებზე ასევე სოფლებისთვის სხვა საჭიროებებზეც ისაუბრეს, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ეტაპობრივად მოგვარდება.

როგორც აღვნიშნეთ, მიმდინარე წელს, კასპის მუნიციპალიტეტისთვის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში რეგიონებში განსახორციელე

დასასრული გვ2.

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" - კასპი 2024

დასასრული. დასაწყისი გვ 1.

ბელი პროექტების ფონდიდან 950 000 ლარია გამოყოფილი.

2023 წელს აღნიშნული პროგრამით 73 სოფელში 89 პროექტი განხორციელდა, რომელზეც თანადაფინანსებით 1 775 000 ლარი (950 000 ლარი ცენტრალური ბიუჯეტი, 825 000 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი) დაიხარჯა.

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" მოქალაქეთა ჩართულობის გააქტიურებასა და სამომავლო პრიორიტეტების განსაზღვრას უწყობს ხელს. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც, ძირითადი პრიორიტეტები იყო: გარეგანათების, სასმელი, სარწყავი წყლის და სანიაღვრე სისტემების, სკვერების, საგზაო და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

შერჩეული პროექტები წლის ბოლომდე, "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხითა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპის ფარგლებში

საბავშვო ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპის ფარგლებში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს. მშენებლობის მიმდინარეობას კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, მერის მოადგილე დავით ქისიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი და საკრებულოს დეპუტატები ადგილზე გაეცნენ.

თბილისის ქუჩაზე

კასპში, ვარჯაანის დასახლებაში, თბილისის ქუჩაზე ასფალტის დაგების სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან აჩიკო გიგოლაშვილთან ერთად პირადად გაეცნო.

პროექტის ფარგლებში მოწყობილია სანიაღვრე არხები და ეზოში შესასვლელები. ქუჩის რეაბილიტაცია რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

თბილისის ქუჩაზე დღემდე ასფალტი არასოდეს ყოფილა. ადგილობრივები კეთილმოწყობილი და კომფორტული ქუჩით გადაადგილდებიან.

ახალი სპეცტექნიკა

კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ ახალი სპეციალური ტექნიკა - გრეიდერი შეიძინა.

გრეიდერი მუნიციპალიტეტში გრუნტოვანი გზების მშენებლობის, გზების თოვლისაგან გასაწმენდად და სხვა სამუშაოების შესასრულებლად იქნება გამოყენებული.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

93-ე წელია ჩვენი გაზეთი იწერება, ვგროვებს, ინახავს რეიტინგს ინფორმაციას, ხანგრძლივ ურთიერთობას ეფუძნება, ეხმარება ადამიანებს შეფასებებზე მყარად დგომაში...გაზეთი ჩვენი ცხოვრებაა!

კასპი 2024 კრებები და კონსულტაციები მოსახლეობასთან

თოვლიანი პალიტრა

ქვემოთ შემოთავაზებული პუბლიკაცია წარმოადგენს წინა თვეში დაბეჭდილის (იხ. "ახალი განთიადი" "თოვლიანი პალიტრა") თემატურ გაგრძელებას. იანვარში წარმოდგენილი ფერმწერი-პედაგოგი ელენე ბარნოვიცა და ახლის გმირებიც — თეა ქუტაშვილი და დადუნა ჯავახიშვილი იმ ერთობლივი საგაზაფხულო გამოფენის მონაწილენი არიან, 2023 წლის მაისში კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში რომ შედგა.

დიახ, შარშანდელი გამოფენის მონაწილეთა შორის იყვნენ როგორც ნაცადი, ანუ მუნიციპალური და რეგიონული მასშტაბის კულტურულ ღონისძიებებში მრავალჯერ მონაწილე ოსტატები, სხვადასხვა ხელსაქმით გატაცებული პროფესიონალები და ფერმწერები, ისე დებიუტანტები, ანუ ახლები, ვინც ნამუშევრებით დამთვალიერებლის წინაშე პირველად გამოჩნდა.

კასპელი ფერმწერი და პედაგოგი—აღმზრდელი თეა ქუტაშვილი სწორედ ნაცადთა კატეგორიას განეკუთვნება, ქალაქის პირველ საჯარო სკოლაში ნატიფ ხელოვნებას აზიარებს მოსწავლეებს, თავისი პროფესიული ხელი მესამე საბავშვო ბაგა-ბაღისთვისაც მშვენივრად დაუტყვია. აი, მეორე კი, კასპის ერთ-ერთი შპს "ავერსის" ფარმაცევტი დადუნა ჯავახიშვილი დებიუტანტთა რიგიდან არის.

ქვემოთ ისინი მოგვითხრობენ თავიანთი არჩევანის, ჰობის, გამართლების, მიგნების თაობაზე, რასაც ფერწერულ სამყაროში მიაღწიეს, რაც თვითონვე მოსწონთ და უყვართ მხატვრობაში. იხსენებენ, როგორ მივიდნენ პროფესიულ წარმატებამდე, ვინ იყვნენ მხარდამჭერები. იმასაც, თუ როგორია სახვალიო მიზნები და გეგმები.

თეა ქუტაშვილი

"ჩემი ზამთარი"

ზამთრის შუაგული, შემოქმედებითი მუშაობის თვალსაზრისით, ჩემთვის მუდამ დატვირთული პერიოდია. აბა, რომელი შემოქმედი იტყვის უარს ნაცნობი თუ უცნობი ადამიანების მხრიდან შემოთავაზებულ გარკვეულ შეკვეთებზე? ჰოდა, მეც მიწევს სასაჩუქრე ნახატების შესრულება. ისინინაირსახოვანი ჟანრისაა: პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტები.

მაქვს ჩემეული სერია: "ბროწეულები", რომელსაც აღვიქვამ სილამაზის, წარმატების, გამრავლების, ბარაქის, სიძლიერის სიმბოლოდ. ამიტომაც მსურს, ჩემთვის ახლობელი, ნაცნობი და საყვარელი ადამიანების ოჯახებში, ჩემს ნახატებთან ერთად, შევიდეს დოვლათი, ბარაქა, სიუხვე, სიმშვიდე, მშვენიერება. მით უმეტეს, კალენდარული წლის დასაწყისში.

ნამდვილად მომიმრავლდა ზამთრის მოტივებზე შექმნილი პეიზაჟები. ზამთარსაც, ბუნებრივ დროთა რიგში მდგომს, მართალია, არ აკლია თავისი ფერადოვნება, მაგრამ მეტ-ნაკლებად ვცდილობ, საკუთარი თვალთახედვით შევმატო გარკვეული შტრიხი თუ დეტალი, რამეთუ მხატვარი ზუსტად ასეთ დროს პირადულ "მეს" უფრო მეტად შეიგრძნობს, როგორც ბუნების შვილი! განა, საინტერესო არაა, როგორი მომხიბვლელი და ორიგინალურია ფერების ანარეკლი თოვლზე, მზის ათინათზე!



საკუთარი შემოქმედებითი მხარის ერთ მცირე დეტალზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას. მოგეხსენებათ, ზამთრის მკაცრ პერიოდში კონკრეტული პეიზაჟის დახატვა ერთობ რთულია. პირადად ასეთი გამოსავალი მოვნახე: ინსპირაცია ხშირად ამიღია ფოტოგრაფებისაგან. მაგალითად, ზამთრის ჩემეული პეიზაჟებიდან გამორჩეულად მომწონს "მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი". დიახ, მეტეხელმა ახალგაზრდა ფოტოგრაფმა ლაშა ზუბიაშვილმა სწორედ ზამთრის ერთ დღეს იმდენად შთამბეჭდავად დააფიქსირა თავისი სოფლის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დიდებული ტაძარი, რომ მისეული ფოტო ჩემთვის გახდა ახალი იდეის, აზრის, ჩანაფიქრის შთამაგონებელი (მოგეხსენებათ, "ინსპირაცია" სხვა არაფერია, თუ არა ვინმეს — ამ შემთხვევაში, შემოქმედის — მხრიდან სხვისთვის — ასევე, შემოქმედისათვის — რაიმე მოქმედების, შეგულიანების, წახალისების შთაგონება).

დიახ, აბა, დააკვირდით, ზამთრული ხედის მიუხედავად, ტაძრის მშვენიერი ნაგებობა როგორი თბილია ცის ფონზე და თოვლთან შეხამებისას, როგორი განსაკუთრებული ფორმისაა გუმბათი, რომელიც აგვირგვინებს მის სიდიადეს და, ასევე, სამრეკლოც როგორ კრავს მის ლამაზ ეზოს!

... და როცა ხელოვანი კოლეგის შთაგონიერების წყარო ხდება, ასეთ მომენტში მეფიქრება: ხომ შეიძლება, თვითონ ჩემი ნახატი გადაიქცეს ახალ ინსპირატორად კიდევ სხვისთვის — პოეტისათვის, მუსიკოსისათვის!

კიდევ ერთი: ჩემი თოვლიანი პალიტრა მომცველია, ასევე, სერიებისა: "ჩიტუნები თოვლის ფონზე", "უშგულის კოშკები" და ასე შემდეგ.

დადუნა ჯავახიშვილი

"ჩემი სექტემბერი, ვარსკვლავბიჭუნა და" ...

გამოგიტყდებით, პირველად მიხდება მკითხველისათვის საკუთარი თავის წარდგენა. ამიტომ ვღელავ, არ ვიცი, რა ვთქვა. მაინც შევეცდები რაიმის მოყოლას. პირველი ის, რომ რაც ჩემზე ვიცი, სულ პატარაობიდან ვხატავ. მშობლები მეუბნებიან, — საამისო ნიჭი პაპისაგან გამოგყვაო.

ჩემს ალე პაპას ხატვა ძალიან ყვარებია და კარგადაც ხატავდა. საქვეყნო გაჭირვების პერიოდი იდგა მაშინ. სამხატვრო აკადემიაში ჩაუბარებია, მაგრამ თბილისში სწავლა ოჯახური ხელმოკლეობის გამო ველარ გაუგრძელებია, შინ ბევრი დედმამიშვილი ჰყავდა. თავისი გარჯით დახმარებია ოჯახს. კასპში მუშაობდა ელექტროაპარატურის ქარხანაში, საშემფუთაო უბნის ბრიგადირად. შინ მისი ნახატები არ შემოგვრჩენია. რაც ჰქონია, ყველა გაუჩუქებია.

კასპის მესამე საჯარო სკოლა დავამთავრე 2017 წელს. სამუსიკო სკოლასთან არსებულ ხატვის წრეში ვმეცადინეობდი 2009-14 წლებში. კურსი 4-წლიანი იყო, მაგრამ მე 5 წელი ვიარე, ისე ძალიან მიყვარდა ნელი მასწავლებელი. ნელი გოგოლაძე არის ის ადამიანი, ვინც გზასავალი გამიკვალა ფერწერის სამყაროში სამოგზაუროდ.

მაშინდელი ნახატები ჩემს თავს მაგონებს — ერთ ძალზე უბრალო, გულუბრყვილო და მიამიტ გოგონას.

მეღიმება და ზოგჯერ მეცინება, როცა პირველ ნახატებს დავხედავ ხოლმე. მე ხომ ისეთივე დავრჩი. ალბათ, ბავშვადაც... ახლა ვარ ყველაზე ბედნიერი პატარა—დიდი ბავშვი, უკვე ერთი წლის ბიჭუკელას დედა! მე ხომ ისევ მიყვარს მიამიტური მხატვრობა — ლაჭური და ფერადოვანი. და კიდევ ის — ჩემი ბიჭი-მზე!

აი, ეს ნახატი ბავშვობაში დავხატე, თოთხმეტი წლისამ. ახლა ვინც ნახულობს, ყველა ხომ მიწონებს და არც ქათინაურებს მაკლებენ, — შენი ბიჭი დაგიხატავს! მისი ალი-კვალია! მას ჰგავს!

შარშანდლამდე ნახატი უსახელო-უსათაუროდ მქონდა. 2023 წლიდან კი დავარქვი "ლაზარე" — ჩემი ბიჭუკელას სახელი! ამ თვეში, თებერვლის ბოლოს, წლისა შესრულდება. უზომოდ ცელქია და დედიკოს ფუნჯებით "თამაშს" არაფრად მიიჩნევს, მხოლოდ ხელს მიშლის. მერე, როცა წამოიზრდება, იქნებ დამეხმაროს კიდეც და თვითონაც ისე შეიყვაროს ხატვა, როგორც მე მიყვარს.

ჰო, მოსწავლეობის პერიოდში ხატწერის წრეშიც დავდიოდი, რომელიც წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში მოქმედებდა. გელა ერქვა ჩემს მასწავლებელს და თბილისიდან ჩამოდიოდა ხოლმე კასპში. იქ უფრო დიდხანს, თითქმის შვიდი წელი, ვიარე. ჩემი ნახელავი ორი ხატი შინ ახლაც მაქვს. ესენიღა შემომრჩა. ყველა გავაჩუქე (ჩემს პაპას ამ მხრივაც ვგევარ). საგანგებოდ დავწერე ერთი — "მაცხოვრის ხატი" და პირად მოძღვარს, მამა ანდრიას მივართვი საჩუქრად.



ნახატების გაჩუქება მჩვევია. შემიძლია, გავცე ისეთიც, რომელიც ძალიან მომწონს და მიყვარს კიდეც, მით უმეტეს, ის თუ ძვირფასი ადამიანია, ყველაზე ახლობელია. განა, ჩვენი საკუთარი დედები ასეთები არ არიან? ჰოდა, ჩემი დედა საზღვარგარეთ წლობით ყოფნის შემდეგ რომ დაბრუნდა, სული და გული ჩავდე, მისთვის სპეციალურად დავხატე და მივართვი მასაც.

დიახ, თითოეული ნახატი ჩემი ფერებია, ჩემი სულიერი მდგომარეობაა. ასევე, მიყვარს მოგზაურობა და ასეთ დროს ფოტოსურათების გადაღება.

დასასრული გვ4.

გარდასულ დღეთა მემატიანეები

გასული წლის მიწურულს კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლეახალგაზრდობის სახლის (მენეჯერი ლელა პეტრიაშვილი) მხარეთმცოდნეობისა (ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი) და შემოქმედებითი წრეების (ხელმძღვანელი მანანა ყაბანაშვილი) მოსწავლეებისათვის მოეწყო გასვლითი ღონისძიება, რომლის მიზანი იყო კასპის ძველი ეკლესიებისა და „ირმასი და კატოს ვენახები" და მარანის ნახვა. ექსკურსიის მონაწილეები თავდაპირველად თეოდორე ტირონის ტაძრის დასათვალიერებლად მივიდნენ. მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელმა ნანა მერებაშვილმა ვრცლად ისაუბრა თეოდორეს მოწამეობრივ ცხოვრებასა და ტაძრის ისტორიაზე.

ახალგაზრდებმა მოინახულეს კასპის ძველ უბანში კვირაცხოველისა და ღვთისმშობლის ეკლესიები. დამთვალიერებლების ინტერესი გამოიწვია ღვთისმშობლის ტაძრის კედელზე გამოკვეთილმა დეკორატიულმა დეტალმა „ძუძუს" ხატმა და „შუბნიშნის" სალოცავმა.

საინტერესო ღონისძიება გაგრძელდა და მოსწავლეებმა „ირმასი და კატოს ვენახები" და მარანი მოინახულეს. მერებაშვილების მამაპაპისეული მარანი საუკუნენახევარზე მეტი ხნისაა. მისი საძირკველი დიდ პაპას წყალობას ჩაუყრია, დედაბოძი აღუმართავს და მუხის ჭერით გადაუხურავს. მარანში ათიოდე ქვევრია, მათგან გამოირჩევა 16 კოკიანი ქვევრი, მთლიანი ქვისგან გამოთლილი ხელმოსაკიდი თავსახურავით. წინაპართა ტრადიცია

უდგას ოჯახის ღირსეული შთამომავალი, იურისტი, სამართალმცოდნეობის დოქტორი, ქალბატონი ირმა მერებაშვილი. მან ისაუბრა საკუთარ ვენახებში გაშენებული ვაზების ჩინურისა და თავკვერის შესახებ. აღნიშნა, რომ მისმა ოჯახმა გადაწყვიტა ტრადიციისამებრ

პაპა ივანემ გასაგრძელებლად გადასცა მამა-შვილს მიშა და გოჩა მერებაშვილებს. დღეს ამ საშვილიშვილო საქმეს სათავეში ჰქონოდათ ორგანული მეურნეობა და ეწარმოებინათ ბუნებრივი ღვინო. ამჟამად აკეთებენ ტერასებს, სადაც წინაპართა პატივსაცემად გაზაფხულზე ჩაყრიან მესხური მწვანეს ნამყენ ნერგებს. მოწეული მოსავლითა და ბუნებრივი ღვინის წარმოებით კი საკუთარ წვლილს შეიტანენ ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის 8000 წლიანი ისტორიის გაგრძელება-განვითარებაში.

ქალბატონმა ირმამ აღნიშნა, რომ „ირმასი და კატოს ვენახები" და მარანი 2022 წელს მათი ვენახებისა და მარნის მკაცრი ინსპექტირების შედეგად მიიღეს ბუნებრივი ღვინის ასოციაციაში, როგორც წევრი-მარანი.

2022-2023 წლებში მონაწილეობდნენ წყალტუბოსა და თბილისში ბუნებრივი ღვინის ასოციაციის ეგიდით ჩატარებულ ფესტივალებში „ამერ-იმერი 2022-2023" და „ზეროკომპრომაის-2023". მ/წლის ინსპექტირების შედეგად მოიპოვეს 2022 წლის მოსავლის ღვინოებზე ბუნებრივი ღვინის ასოციაციის ლოგოს გამოყენების უფლება.

საინტერესო საუბრის შემდეგ ექსკურსიის მონაწილეებმა დაათვალიერეს მე-19 საუკუნის მარანში განლაგებული ნივთები: ხელით ნაქსოვი ფარდაგი, კარადა, აკვანი, ნახშირის უთო, სასმისები და სხვა.

ძველ მარანში გაისმა სიმღერა „ვაზო, ქალწულო" ... და მის ფონზე მოსწავლეები: გიორგი ხუციშვილი, მარიამ ყაზარაშვილი, ბარბარე და ანდრია ჩარაევები, ნინო გაბოშვილი, საბა წინამძღვრიშვილი და დემეტრე ბაშარული მხატვრულად კითხულობდნენ ლექსებს. შემოქმედებითი წრის ხელმძღვანელმა მანანა ყაბანაშვილმა საქართველოს ქალთა საბჭოს კასპის ორგანიზაციის სახელით საჩუქარი გადასცა ქალბატონ ირმას და წარმატებები უსურვა მათ მარანს. მოსწავლეთა სახლის „სამოქალაქო განათლების" წრის ხელმძღვანელმა ქ. გეჯაძემ, „კითხვის საათის" წრის ხელმძღვანელმა ჟ. მამულაშვილმა და მშობელმა თ. გრიგოლიამ მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს გულთბილი მიღებისა და საინტერესო საუბრისათვის. ასე შინაარსიანად დასრულდა წლის ბოლო გასვლითი ღონისძიება.

„მამულო, სიცოცხლეო!„

გასული წელი კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (მენეჯ. ლ. პეტრიაშვილი) მხარეთმცოდნეობის წრემ (ხელძღვანელი ნ. მერებაშვილი) დაასრულა ღონისძიებით "მამულისათვის თავდადებულთ სიკვდილი არ უწერიათ". ღონისძიების მიზანი იყო გახსენება და პატივისმიგება მამულისათვის თავდადებული ბერი თევდორესი, რომელიც იყო მწყემსი კეთილი სოფელ კველთის მცირე სამწყსოსი. მოსწავლეებმა: გიორგი და ლიზი ხუციშვილებმა, უჩა გოგოლაძემ, ბარბარე და ანდრია ჩარაევებმა, მარიამ ყაზარაშვილმა, საბა წინამძღვრიშვილმა, ნატალი ნონიაშვილმა, ნინო გაბოშვილმა და ნინი ჩიტიშვილმა მხატვრულად წაიკითხეს ბერი თევდორესადმი მიძღვნილი ლექსები და ამონარიდები იაკობ გოგებაშვილის, შოთა ნიშნიანიძის, გივი გეგეჭკორის და მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებიდან.

მწერალ ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობიდან "რახათ-ლუხუმი" წარმოადგინეს ინსცენირება მოსწავლეებმა: გიორგი ხუციშვილმა (მღვდელი თევდორე), უჩა გოგოლაძემ (ომან ფაშა) და საბა წინამძღვრიშვილმა (ოსმალო მებრძოლი), რამაც დამსწრე საზოგადოების მოწონება დაიმსახურა.

ღონისძიებაზე აღინიშნა, რომ თევდორე მღვდლის თავდადება სამშობლოსადმი შეუფასებელია. მან მოიპოვა "სახელი, რომელიც ქება-დიდებითა და კურთხევით იხსენიება ყველა ქართველისაგან, ვიდრე დედამიწის ზურგზე ჩვენი ერი იარსებებს" (იაკობი). ამაოდ არ დაღვრილა თევდორე მღვდლისა და სხვა წამებულთა სისხლი. მათ სახელთან ერთად ერი მუდამ გაიხსენებს ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან ახალმოწამეებ-

საც, როგორებიც არიან გიორგი ანწუხელიძე, შინდისის გმირები, არჩილ ტატუნაშვილი, ბერი ანდრია ყურაშვილი და სხვ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელი მამა ალექსანდრე (გუბელაძე), კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, პედაგოგები, საზოგადოების წარმომადგენლები.

მოსწავლეთა შრომა

ახალგაზრდებმა უკეთ შეისწავლონ ქართველი ერის ისტორია, მოისმინონ რელიგიის გაკვეთილები, რაც ხელს შეუწყობს ქრისტიანული რწმენის განმტკიცებას.

თეა ხორბალაძემ მადლობა გადაუხადა წრის ხელმძღვანელს ნანა მერებაშვილსა და მოსწავლეებს საინტერესო და შინაარსიანი ღონისძიების ჩატარებისათვის. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მენეჯერმა ლელა პეტრიაშვილმა ისაუბრა მხარეთმცოდნეობის წრის აქტიური მუშაობის შესახებ და აღნიშნა, რომ მომავალში მათგან კვლავაც ელიან შემეცნებით ღონისძიებებს. სიტყვით გამოვიდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მასწავლებლები: მ. ყაბანაშვილი, ლ. ხელაშვილი, ქ. გეჯაძე, მეოთხე საჯარო სკოლის პედაგოგი გ. გიგაური. დასასრულ მამა ალექსანდრემ მოსწავლეებსა უსახსოვრა მამა გაბრიელის ხატები.

სახელოვნებო სკოლების გაერთიანებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სახელით ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლებს გადაეცათ სიგელები.

დადუნა ჯავახიშვილი

"ჩემი სექტემბერი, ვარსკვლავბიჯუნა და" ...

დასასრული
დასაწყისი 3გვ.

ჩემს წამალმცოდნეობასა და ფარმაცევტობას რაც შეეხება, პროფესია სკოლიდანვე ავირჩიე. ძალიან მაინტერესებდა ბიოლოგიური მეცნიერება. გამიტაცა და შევიყვარე კიდეც. დამთავრებული მაქვს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი და 2019 წლიდან ვმუშაობ კასპის სააფთიაქო სისტემაში, ავერსელი ვარ... თბილისურ პერიოდში, სწავლის პარალელურად, ხატვას მაინც ვახერხებდი. ახლაც ასეა, აქეთ – სამსახური, იქით – პატარის მოვლა. ჰო, ჩემს უფროს კოლეგებს ძალიან მოსწონთ ჩემი ნახატები. შარშანდელი მაისის საქალაქო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად ჩემი მენეჯერი, ნონა ბარნოვი დამეხმარა. უნდოდა, სხვებსაც გაეგოთ და დაენახათ, თუ როგორი ყოჩაღი თანამშრომელი ჰყავს, – წადი და გამოფენის გახსნისას მაინც დაენახვე ხალხს, იცნობდნენ, ვინ არისე ეს დადუნა, ასეთი მშვენიერი ნახატები რომ გამოუტანია გამოფენაზეო, – მაგულიანებდა ნონა მენეჯერი. მისი მხრიდან ასეთი მხარდაჭერა დიდი სტიმული გამოდგა. მივიღე მონაწილეობა, დამინახეს, დამფასეს. ცხადია, მადლობელი ვარ.

ახალსა და სახვალიო ჩანაფიქრს რაც შეეხება, ვერასოდეს ვგეგმავ, ჩემი ყოველდღიური დატვირთული რეჟიმიდან გამომდინარე, მავიწყდებოდა თქმა: სახატავად შემოდგომის სეზონური ფერები მიყვარს. უფრო იმიტომ, რომ შემოდგომით (სექტემბერში) მე დავიბადე, ბუნების ეს დრო. ისედაც, ხომ ყველაზე ფერადი და საინტერესოა!

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება

გვმოგვიგზავნეთ!

ლოზმანი ნიტოცლოიგ განმვლოობვში მრავალი ოცნოური, მოოლოლნელი თუ ოოგნელი მოვლიენიგ მოწმე ხლებ. ნშირ შემოხვევაში არ ვიცით, ვიგ გვუბიართ ნანი, ლობთ იმიგ შიშით, რომ შეიძლება არ გწორალ გვგიგონ.

თუ ყოთილობარი მომგწრე ოგნელი, ოცნოური, შეოცნობელი მოვლიენიგ შეგიძლიათ მოგვწოდოთ ამ მოვლიენიგ ამგანგელი მაგალა. მიგი გვცნობიგ და შეგწავლიგ შემდეგ თუ იგი ნიტოლიგრეგთ იჯნებ გვბეთიგ მყითხველიანთვიგ, გამოკვეყნდებ გვბეთში რუბრიკით "შეოცნობელი".

ნაკლებობიგ შემოხვევაში შეგვიძლია თკვენგ მიერ შემოთავაზებული ინფორმაცია გვლავეთ ეჯვერტებგ.

მოლოდინი, რომელიც სიხარულით გვავსებს

სოფელ ქვემო გომში საბავშვო ბაღი შენდება

მუნიციპალიტეტში შარშანდლიდან ფართო მასშტაბით გაიშალა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის პროცესი. ის ერთბაშად ცხრა სოფელს გადასწვდა. 2020-22 წლებში ახალი საბავშვო ბაღები სამ სოფელში აშენდა (გრაკალი, იგოეთი, სადგური მეტეხი). 2023-დან კი მასშტაბური პროექტი სამჯერ მეტ სოფელს მოიცავს.

საქმე ისაა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივითა და მთავრობის მხარდაჭერით დაწყებულია ქვეყნის ყველა რეგიონის დიდ-პატარა ქალაქსა და ცალკეულ სოფლებში საბავშვო ბაღების მშენებლობა, სადაც კი დღის წესრიგში დგას საამისო აუცილებლობა. შთამბეჭდავია საერთო რაოდენობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა – 885!

ჩვენი გაერთიანების სახელით, "ახალი განთიადის" მეშვეობით, 2023 წლის ივლისში ვიუწყებოდით, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოიაზრებოდა ბაღების აშენება შემდეგ სოფლებში: ოკამი, ლამისყანა, ფერმა (ეს ერთი ზონალური მხარეა), მეტეხი, ქვემო გომი, ახალციხე და ახალქალაქი (მეორე ზონა) და კავთისხევსა და თვალადში (მესამე). იქვე გაგაცანით ექვსი საბავშვო ბაღის დაარსება-მოქმედების ისტორიული რაკურსი, მაგრამ მათ შორის არ იყო სოფელ ქვემო გომის საბავშვო ბაღისა (გარკვეული მოსაზრებით).

აი, გასულია თითქმის ერთი წელი, რაც რამდენიმე ადგილზე ახალმშენებლობების საძირკველი გაიჭრა და კედლებიც წამოიმართა, ზოგან სამშენებლო მოედანი მომზადდა, ზოგან ზამთრის უამინდობამ შეაფერხა მშენებლობის ტემპი. უთუოდ, საინტერესოა, სად როგორი მდგომარეობაა სადღეისოდ? ნათქვამია, კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო!

პერიოდულად გაგაცნობთ მუნიციპალიტეტის სოფლებში საბავშვო ბაღების მშენებლობის საერთო სურათს. ჩვენი პირველი "გაჩერებაა" სოფელი ქვემო გომი.

***

საქართველოში რამდენიმე გომია (მარტვილის, ონისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში), ქვემო გომი ერთია, ჩვენთან. ქართული ენციკლოპედია 1977 წლისათვის იუწყებოდა, რომ კასპიდან სამანქანო გზით 13 კილომეტრით დაშორებული სოფლის მოსახლეობა სარგებლობდა საშუალო სკოლით, კლუბით, საფოსტო განყოფილებით, საფერშლო-სამეანო პუნქტით... ჩამონათვალში არ ფიგურირებდა საბავშვო ბაგა-ბაღი, რომელიც წინა წელს გაიხსნა. არც ის იყო ნათქვამი, რომ მოუწყობელი და უასფალტო იყო სასოფლო გზები, არ იყო გაზი და სხვა ბევრი პირობა. მერე რა, კასპიდან გომამდე საქვეითო გზითა და მტკვარზე "საქანელა ხიდით" მხოლოდ ოთხიოდე კილომეტრია და ერთი საათის სავალი. სოფელი მაინც პერიფერიულად მიიჩნეოდა და იმ პერიოდში იქაურებს გაეხუმრებოდნენ ხოლმე, – გომელი ხომ არა ხარ? ქვემო გომში ხომ არ ცხოვრობ?

***

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა იოსებ მამულაშვილმა ქვემო გომისაკენ გზად ავტომანქანით დაგვიმგზავრა. ჯერ მშობლიურ სოფელ მეტეხში გვიჩვენა მომავალი საბავშვო ბაღის შენობისათვის მომზადებული სანიადაგე ვაკისი, მერე კი მეტეხი-ახალქალაქის სამანქანო გზიდან ბორტასაკენ გადაუხვია.

– ქვემო გომი, ნიაბი და ამისი უბანი ბორტა ზედმიბმული სოფლებია. აქაურები ადრე ვერც კი იოცნებებდნენ ესოდენი მოასფალტებული გზებით, რაც ბოლო წლებში გაკეთდა, – გიდობას გვიწევს ახალგაზრდა დეპუტატი, - აგერ, ესაც ქვემო გომის მშენებარე საბავშვო ბაღი და, ზედაც, მომიჯნავე ღობის მიღმა, ორი წლის წინ აშენებული მშვენიერი სკოლა. თითქოს მისი ნათქვამი გააგრძელაო, მცირე ხანში საკუთარი სოფლის სახეცვლილებით გახარებული და კმაყოფილი ახალგაზრდა მშენებელი გიორგი ხიზანაშვილი იგივეს გვიდასტურებს: – მავანი პესიმისტები მოვიდნენ და, აბა, დღეს ნახონ ჩვენი სოფელი. იქით, სასოფლო კლუბთან, შესანიშნავი სასპორტო მოედანი და დასასვენებელი პარკია მოწყობილი. ყველაზე მეტად საბავშვო ბაღის მშენებლობა მახარებს. იმიტომ არა, ჩემი სახლის წინ რომ წამოიჭიმება და ჩემი ჭიშკრიდან მხოლოდ გზის გადაკვეთაა საჭირო. სამი შვილის მამა ვარ, უკვე სკოლაში დადიან ჩემები, მაგრამ სოფელში რამდენი ბავშვია, ეს ბაღი ახალმომავლისაა. ახლოა – მეთქი, ამიტომ კიდევ ხომ არ ვიყოლიებ, ახლა სხვებმა გაუჩინონ სოფელ-ქვეყანას პატარები. მეც მივლია ჩემი სოფლის საბავშვო ბაღში. ეხ, სად გვქონდა მაშინ ასეთი პირობები, ამ ბაღში რომ ექნებათ, უკვე 2024-ის ბოლოდან.

გიორგის სიტყვა მეორე მუშამ ჩამოართვა, რომელიც მასთან ერთად ჯერაც ხიმინჯებზე შემაგრებულ გადასახურავ ფილამოედანს ამზადებდა. საერთო მოწვნა არმატურისა უკვე დაემთავრებინათ და ბოლო კვანძებს კრავდნენ, მეორე-მესამე დღისათვის ბეტონმზიდები მზა ცემენტხსნარს შემოიტანდნენ და მთლიანი შენობის ვაკისი ბეტონის "ქუდს" დაიფარავდა.

ეს გიორგი კვესიაშვილია: – მე გომელი არა ვარ, კავთისხევიდან დავდივარ აქ სამუშაოდ. მაგრამ მეც მიხარია ქვემო გომში ბაღის მშენებლობა. გეტყვით, რატომაც: აქ წლის ბოლომდე გვაქვს ვადა დადგენილი, მაგრამ გულით მწადია, იქნებ, ადრეც დავამთავროთ, რადგანაც აქედან სამუშაო ბრიგადამ კავთისხევში უნდა გადავინაცვლოთ. იქაც გაიჭრა უკვე ბაღის საძირკველი, იქ მომუშავეებს შევემატებით დამხმარე ძალად.

ორივე გიორგი, ხელი მოგემართოთ, შენც – ქვემოგომელო და შენც – კავთისხეველო! თქვენ და თქვენი კოლეგები საქართველოს მომავლის საბაზისო კერებს აშენებთ!

***

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა, ყველამ ერთად, 2023 წელს სასკოლო-სასწავლო სივრცეში თითქმის 400 ბავშვს (398!) დაუ-

ლოცა გზა. აქედან სოფელ ქვემო გომის საბავშვო ბაღმა – ათს, კავთისხევისამ – თორმეტს...

***

სოფელ ქვემო გომში ახალი საბავშვო ბაღის არსებობა გაცილებით მეტზეა გათვლილი, ვიდრე ამჟამად რიცხული 41 მოზარდია (ყველაზე მეტი, 52, 2014 წლისათვის დაფიქსირდა). მათგან სასკოლო მზადების უფროსთა ჯგუფშია 12.

მშენებლობის დამკვეთია სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, შემსრულებელი – ამხანაგობა "შეგა ბილდი", ობიექტის დაწყების თარიღი – 2023 წლის ნოემბერი, დასრულების თარიღი – 2024 წლის ნოემბერი.

***

ელიზა ბიძინაშვილი – სოფელ ქვემო გომის საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე (2013 წლიდან) მოგვითხრობს მიმდინარე საუკუნის გასული პერიოდის განმავლობაში მოხდარი ცვლილებების შესახებ:

– ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, 2002 წელს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ბაღის გამგემ ნანული გუგულაშვილმა და აღმზრდელმა ზოია მჭედლიშვილმა სამსახური დატოვეს. პირველის ნაცვლად დაინიშნა მაია სოლომანაშვილი, ხოლო აღმზრდელის საპატიო მისია მე დამეკისრა (მანამდე მქონდა მეურნეობის საანგარიშო დარგში მუშაობისა და პედაგოგობის გამოცდილება). იმ პერიოდისათვის სოფლის ბაღს ჰყავდა ექვსი თანამშრომელი: მუსიკის პედაგოგი ანა ტატანაშვილი, ძიძა ციალა გიქორაშვილი, მზარეული თამარ ბიძინაშვილი, დარაჯი ვაჟა ხითარიძე.

გვედგა გაჭირვების წლები, მაგრამ, ამის მიუხედავად, ბაღი ფუნქციონირებდა მშობელთა შემოწირულობების ხარჯზე. ასე, თანდათან, თითქოს დავაღწიეთ თავი საერთო ქაოსს, მაგრამ 2008 წელს ქვეყნის თავზე დატეხილმა ომმა ყველაფერი წყალს გაატანა. ჩვენი ბაღის შენობა გადაკეთდა ლტოლვილთა ჩასახლების მიზნით. ბედად, განაზრახი შეიცვალა და ბაღის კარი ისევ გაიხსნა პატარებისათვის, არასტანდარტულ გარემოში, მაგრამ მაინც შევძელით ერთი ჯგუფის მიღება.

2012 წლის შემდეგ საბავშვო ბაღებზე ზრუნვა არნახულად, არგაგონილად გაძლიერდა. კასპის მუნიციპალიტეტშიც მეტი ყურადღება ეთმობა პრიორიტეტულ საკითხს, რაც გულისხმობს განუწყვეტელ, სისტემატურ, კოორდინირებულ ზრუნვას მოზარდი თაობის ჯანმრთელობაზე, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების განვითარებაზე.

2013 წლიდან მეორე ჯგუფის დამატებაც მოვახერხეთ. დღეს-დღეობით 41 აღსაზრდელი გვყავს.

2017 წელს ბაღის შენობას კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა. მას შემდეგ გვაქვს მუდმივი წყალგაყვანილობის შიდა ქსელი (მათ შორის ცხელი წყლით), გადაკეთდა სამზარეულო და სამრეცხაო, საძინებელი და გასახდელი ოთახები, სანიტარული კვანძი აღიჭურვა სათანადო ზომის ხელსაბანებითა და უნიტაზებით. პატარების კვება კი, ცხადია, უფასოა.

2021 წელს უფრო შეივსო ბაღის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში შეძენილია დიდი ზომის მაცივარი, ჭურჭლეულის კარადა, საწოლები და ლოგინი, კარადები გასახდელისათვის. ეზოს ტერიტორიაზე მოეწყო გასართობი და სათამაშო საშუალებები.

გვსურს, წარმოგიდგინოთ ჩვენი ბაღის შრომითი კოლექტივის ახლანდელი შემადგენლობაც: ხელმძღვანელი – ელიზა ბიძინაშვილი, აღმზრდელები – მაია სოლომანაშვილი, ნინო მამულაშვილი, ელეონორა მჭედლიშვილი, თანაშემწეები – ლალი ბიძინაშვილი, მარინე ყორღანაშვილი, ლია არაქელაშვილი, ლალი ხიზანაშვილი, მედდა – ესმა მჭედლიშვილი, ფსიქოლოგები – თეა გორგაძე, მაკა კაციაშვილი, ლოგოპედი ინგა ინანაშვილი, მუსიკის პედაგოგი ნანა კაპანაძე, დამხმარე მუშა მარინე ნატროშვილი.

... ყველაფრის მიუხედავად, ბაღის შენობა მაინც ვერ აკმაყოფილებდა ბავშვებისათვის საჭირო გარემოს სტანდარტებს. არ გვტოვებდა განცდა და მოლოდინი იმისა, რომ ქვემო გომშიც აშენდებოდა საბავშვო ბაღის თანამედროვეობისათვის მისადაგი შენობა. ეს უკვე რეალობაა! გვიხარია, გვიხარია.

ვიმედოვნებთ, რომ 2024-25 წლების მიჯნაზე ახალბაღობას ვიზეიმებთ.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება

ივანე აღაპიშვილის მემორიალური

ჭადრაკი – ივანე აღაპიშვილის მემორიალური: თერთმეტ თებერვალს გაიმართა კასპელი მოყვარული მოჭადრაკის, ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი მუნიციპალურ პირველობაზე. საქალაქო სპორტკომპლექსის დარბაზში იგი მოეწყო სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დირექციის (დირექტორი შოთა გოგიაშვილი, მენეჯერი ჯუმბერ სიდამონიძე) ორგანიზებით.

პირველობაში სულ ჩაება თერთმეტი მოყვარული მოჭადრაკე. მათგან უხნესი ვახტანგ პავლიაშვილი 89 წლისა იყო, ხოლო უმცროსი ლუკა ხორგუაშვილი 24 წლისა.

შეჯიბრების სტარტზე, რომელიც ხუთ ტურად ჩატარდა, ორი ტურის შემდეგ დაწინაურდა სამი მოჭადრაკე: მამუკა ზაქარაშვილი, ლევან ქვრივიშვილი და ზაზა გორგაძე (2-2 ქულა). მათ დარჩენილ პარტიებშიც გაამართლეს ფავორიტობა. რაციონალურად ითამაშა მამუკა ზაქარაშვილმა, რომელმაც ოთხი ტურის შედეგით გაინაღდა გამარჯვება, ამიტომ მეხუთეში აღარ გარისკა და მეტოქეს ყაიმზე შეუთანხმდა. ცხადია, მათშივე განაწილდა საუკეთესო სამეულის პოზიციები: პირველმა 4,5 ქულას მოუყარა თავი, მეორეს 4 ქულა აღმოაჩნდა, ხოლო მესამეს – 3,5. მათ გადაეცათ დიპლომები და თასები.

ერთბაშად სამმა მოჭადრაკემ მოაგროვა 3-3 ქულა და მეოთხე-მეექვსე ადგილოსნები საუკეთესო კოეფიციენტის გათვალისწინებით გამოირკვა: თამაზ ჯლანტიაშვილი, მიხეილ მაკეივიჩი და ვალერი უზნაძე. შემდეგი პოზიციები ასე განაწილდა: ლუკა ხორგუაშვილი, ნუგზარ მენაბდიშვილი, ვატო აღაპიშვილი, ვახტანგ პავლიაშვილი და ტარიელ ამირეზაშვილი.

“კასპერსი”

კალათბურთი – კასპელი კარსპერსელები: “კასპერსი” – ასე ჰქვია ჩვენი ქალაქის კალათბურთელ ვაჟთა გუნდს, რომელიც 2017 წლიდან მონაწილეობს საქართველოს კალათბურთის სამოყვარულო ლიგის (პრეზიდენტი ლაშა ბერუაშვილი) ჩემპიონატში. კასპის “კასპერსი” “ბ” კატეგორიის დედაქალაქურ გუნდებთან გამოდის (“ა” კატეგორიაში მხოლოდ პროფესიონალები ასპარეზობენ). გასულ სეზონებში საუკეთესო შედეგი უჩვენა 2018 წლის სეზონში, როცა საუკეთესო ოთხეულში მოხვდა.

გუნდმა წლევანდელ გათამაშებაში უკვე 7 თამაში გამართა და აქედან 2-ში გაიმარჯვა. ამჟამად მე-5 ადგილზეა. 10-გუნდიანი პირველობა ნოემბრიდან მაისამდე გრძელდება. რვა საუკეთესო “პლეიოფის” ეტაპზე გადადის და იქ აგრძელებს თამაშს. “კასპერსს” წლევანდელი საპლეიოფო ეტაპი განაღდებული აქვს.

საინტერესოა გუნდის შექმნის ისტორია: ეს მოხდა ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე, როცა თბილისში ფეხს იკიდებდა ე. წ. “ქუჩის კალათბურთი”. იქ სასწავლებლად ჩასულმა ახალგაზრდებმა: ტატო მეშველაშვილმა, დავით ჯინიყაშვილმა და ირაკლი მელუამ ხელი ხელს დაკრეს, “ახალ ხილს” ჩვენებურებიდან პირველებმა გაუსინჯეს გემო და თბილისის პირველობაზე გამოჩნდნენ სტრეინბოლში (კალათბურთი 3X3-ზე). მერე იყო სწავლის პერიოდი, სამსახური, დაოჯახება და საყვარელი თამაში თითქოს გვერდზე დაურჩათ, – ერთობლივად, მხარდამხარ, გუნდურად, თორემ ისე კალათბურთს განდგომიან კი არა, სულაც პროფესიად გაიხადეს (დავით ჯინიყაშვილი და ირაკლი მელუა ამჟამად ჩვენი გაერთიანების მწვრთნელები არიან და ბავშვთა გუნდებს ავარჯიშებენ).

ჰოდა, მეგობრები ისევ შეიკრიბნენ, გუნდიც შექმნეს და სახელიც ანიმაციური ფილმის გმირისა – კასპერსი – დაირქვეს (21-ე საუკუნის ახალგაზრდობაში მეტად პოპულარული იყო ამერიკული “მოჩვენება”), რომელიც ყოვლის შემძლეა და, თანაც, კალათბურთს სწყალობს, ბურთით ხშირად თამაშობს. “კასპერსი” რამდენჯერმე კასპის საკალათბურთო დარბაზში ჩატარებულ საქალაქო შეჯიბრებაში გამოჩნდა. ცხადია, აქ ტოლი ვერავინ დაუდო. იქ კი, თბილისში, ზაზა ფაჩულიას საკალათბურთო აკადემიის დარბაზში გამოდის და ერთადერთი რეგიონული გუნდი დედაქალაქური გუნდების ძლევასაც ახერხებს, რაც აქ, ჩვენთან, კასპში, ბევრმა როდი უწყის.

“კასპერსის” მაისურებით სადღეისოდ საკალათბურთო პარკეტზე გამოდიან იხილეთ ფოტოზე: წინა რიგში – ლევან გეჯაძე, ვატო აღაპიშვილი და გურამ ბლუაშვილი; დგანან – ლადო ჯავახაძე, ვახტანგ ჩხეიძე, ტატო მეშველაშვილი, დავით ჯინიყაშვილი, ლაშა მამულაშვილი და ლუკა ხორგუაშვილი. კაპიტანია ტატო მეშველაშვილი, მწვრთნელი – დავით ჯინიყაშვილი. კიდევ ერთი მოთამაშე, უშანგი მოსიაშვილი ფოტოზე არაა.

უკვე მესამე წელია, “კასპერსის” მოყვარულთა ლიგაში მონაწილეობის მხარდამჭერი და დამფინანსებელია კომპანია “ჰაიდელბერგცემენტ-ჯორჯიას” კასპის ცემენტის ქარხანა (დირექტორი მიხეილ კიტრიაშვილი). ეს ფაქტი შემთხვევითი არაა: მისი ახალგაზრდული ადმინისტრაციული კოლექტივის წევრები სპორტული ცხოვრების მიმდევრები არიან. ამასთან, “კასპერსის” ოთხი მოთამაშე ამავე საწარმოს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის წარმომადგენელია: ტატო მეშველაშვილი, ლევან გეჯაძე, ვახტანგ ჩხეიძე და ლაშა მამულაშვილი. ამჟამად გათამაშების ცხრილში მეხუთადგილოსანი “კასპერსის” პროგრამა მაქსიმუმია: აპრილ-მაისის შედეგებით წაიწიოს და “პლეიოფის” მომდევნო ეტაპზე გადავიდეს.

“კასპი – 1936” – წინასასეზონო, მოსამზადებელი

საქართველოს საფეხბურთო პირველობის რეგიონული “ლიგა – 5”-ის გათამაშება 2024 წლის აპრილის დასაწყისში განახლდება. მისი “ა” ჯგუფის უცვლელი მონაწილეა ლეხურისპირული საფეხბურთო გუნდი. წინა 4 სეზონის შედეგებით ვერადავერ მოხვდა საუკეთესოთა სამეულში, ანდა, ხუთეულში. ამდენად, არც ჰქონია წინა ლიგაში დაწინაურების ამბიცია.

ამჯერად არც მისი წინსვლა-ჩამორჩენის მიზეზებს ვძიობთ და არც გასულ სეზონებში ნაჩვენები შედეგების გაანალიზებას ვაპირებთ. კასპელ გულშემატკივრებს ისევ სწყურიათ “დიდი ფეხბურთი” და ისევ იმედებით ხვდებიან ახალ სეზონს.

რა ხდება თვითონ გუნდში, მოახლოებული პირველობის წინ როგორი ცვლილებებია “კასპი – 1936”-ის შემადგენლობაში, როგორ მიმდინარეობს ზამთრის პერიოდის მოსამზადებელი ეტაპი? – ამის თაობაზე თავშეკავებულ, მოზომილ, ფრთხილ ინფორმაციას გვაწვდის გიორგი დაბრუნდაშვილი – გუნდის მთავარი მწვრთნელი. 2019 წელს მან, უმცროს ძმასთან ერთად, იდეაში მოაზრებული განახორციელა რეალურად და შექმნა გუნდი, ჩაუდგა სათავეში და ოთხი სეზონის ლაბირინთებში გამოატარა, დღემდე ინარჩუნებს და ელოლიავება, როგორც საკუთარ პირმშოს. ის მისი ნამდვილი შვილობილია.

გიორგი დაბრუნდაშვილი – “კასპი – 1936”-ის მთავარი მწვრთნელი:

- ჩვენი გუნდი წლევანდელი 15 იანვრიდან ვარჯიშობს საკუთარ მოედანზე. შაბათ-კვირის გარდა სტადიონზე ვართ და ყოველდღიურად ერთორ საათს ვუთმობთ ფიზიკურ, სათამაშო, ტაქტიკურ და თეორიულ მომზადებას. “კასპი – 1936”-ის რიგებში ამჟამად 20-მდე ფეხბურთელი ირიცხება. თავდაპირველი, ოთხიწლისწინანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ ერთი მოთამაშე შემოგვრჩა – ბექა დაბრუნდაშვილი, მისი კაპიტანი და ხერხემალი, გამოცდილი ფეხბურთელი. ის დღემდე ფორმაშია და გუნდის ერთგულების მაგალითს აძლევს თანაგუნდელ ახალგაზრდებს. ასეა, ძირითად ბირთვს ისინი წარმოადგენენ. ადგილობრივი საფეხბურთო სკოლის ასაკობრივი გუნდებიდან მოვიწვიეთ. გუნდს ეყოლება რამდენიმე ლეგიონერი მოთამაშე. მათგან ორმა შარშანდელ სეზონში ყველა მატჩი ითამაშა. ოთხი კი წელს პირველად გამოჩნდება. მათი მხრიდან ის გვაიმედებს, რომ მაღალ ლიგებში გამოსვლის გამოცდილება გააჩნიათ. ეს კი გუნდის საერთო პოტენციალს წადგება. მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში დავგეგმეთ რამდენიმე ამხანაგური თამაში. ჩვენი პირველი მოსპარინგე იყო “გორის” კლუბი მეზობელი ქალაქიდან, რომელიც “ლიგა – 3”-ის ბინადარია. შარშანდელი ანალოგიური ხასიათის თამაში მასპინძლებმა მოვიგეთ, ამჯერად სტუმრებმა იყოჩაღეს. 17 თებერვალს შინ მეორე თამაშში დავუზავდით თბილისის “ლიახვი”-”აჩაბეთს” (2:2).

კარსმომდგარი სეზონის სტარტის აღებამდე კიდევ მოვასწრებთ რამდენიმე ამხანაგური თამაშის ჩატარებას. ვეცდებით, მანამდე დარჩენილი დრო, მაქსიმალურად და ინტენსიურად დატვირთული ვარჯიშებით, ნაყოფიერად გამოვიყენოთ.

ჭიდაობა ძიუდო

ჭიდაობა ძიუდო – ცოტნე ბახტაძის პირველი მედალი: საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ცოტნე ბახტაძემ იანვრის ბოლოს გამართულ შიდა საქვეყნო პირველობაზე ოქროს მედალი მოიპოვა. ის პირველია, ვინც ჩვენებურ მოჭიდავეთაგან ესოდენ წარმატებას მიაღწია და საქართველოს ჩემპიონის ტიტული დაიმსახურს. მან ფეხი კასპის საჭიდაო სკოლაში აიდგა, ამჟამად კი თბილისში ცხოვრობს და ვარჯიშობს.

ჭაბუკი ერთგული რჩება მშობლიური მხარისა: 2024 წლის საქართველოს პირველობაზე ცოტნე ბახტაძემ კასპის სახელით იასპარეზა!

ირაკლი კლიმიაშვილმა კარიერა დაასრულა, მაგრამ ფეხბურთში რჩება

ჩვენებური მიწა-წყლის სპორტსმენებიდან ვისაც კი ფეხბურთი პროფესიულ დონეზე უთამაშია, მათგან ყველაზე წარმატებული გახლავთ ირაკლი კლიმიაშვილი – ცნობილი ფეხბურთელი, საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებების ყოფილი წევრი. მართალია, კასპის საფეხბურთო გუნდის სახელით არასოდეს უთამაშია, მაგრამ აქაურ სტადიონზეც მოგვცემია მისი თამაშის ხილვის საშუალება, როცა ზუგდიდის "დინამოს" ღირსებას იცავდა ამ ხუთიოდე წლის წინ, და, მაშინაც, როცა ზაფხულობით სტუმრებია მამაპაპისეულ ქალაქს და აქ მინიფეხბურთის მოედანზე გაუგორებია ბურთი უბნების პირველობაზე. სამაგიეროდ, მისი პაპა, მეცემენტეინჟინერი ნიკოლოზ (კოლია) კლიმიაშვილი იყო კასპელ ფეხბურთელთა მეორე თაობის წარმომადგენელი და თამაშობდა კასპის გუნდში.

... ირაკლი კლიმიაშვილი 35 წლისაა (წლევანდელ მაისში 36 შეუსრულდება). აქტიური ფეხბურთელი იყო ჯერ კიდევ შარშან. ახლა კი მის სპორტულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მომენტი დადგა. მიაჩნია, რომ თითქმის 20-წლინი საფეხბურთო კარიერის დასრულების დროა. ფიგურალური გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, შეუძლია, სიამაყით ჩამოკიდოს ბუცები კედელზე. მაგრამ არა, ფეხბურთი ხომ მისი დიდი ცხოვრებაა, ბურთი უღალატო მეგობარია, ერთხელ თუ გამოიბი ფეხზე, მუდამ შენთანაა, სანამ ფეხზე დგეხარ და გული გიცემს... ჰოდა, გადაწყვეტილება მიღებულია: ფეხბურთელი ირაკლი კლიმიაშვილი ფეხბურთში რჩება, ფეხბურთით ცხოვრებას აგრძელებს საკუთარი მდიდარი სპორტული გამოცდილებით, ნანახით, განცდილით, ჩემპიონის სახელით, თასის მფლობელის ტიტულით – აწ საფეხბურთო კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელის პოზიციაზე!

დიახ, ვეტერანმა ფეხბურთელმა ქართული ფეხბურთის მსახურის მანტია მოისხა: ირაკლი კლიმიაშვილი 2024 წლის 2 თებერვლიდან დანიშნულია საგარეჯოს საფეხბურთო კლუბი "გარეჯის" სპორტულ დირექტორად. კახეთის ქალაქი საგარეჯო და მისი გუნდი ბოლო ნავსაყუდელი აღმოჩნდა მრავალნაცადი და მრავლისმნახველი ფეხბურთელისათვის.

2022-23 წლების სეზონში ცხრაჯერ მოირგო "გარეჯის" მაისური, მაგრამ უგულოდ არც ერთხელ არ უთამაშია. და. აი, გუშინდელი ფეხბურთელი ამიერიდან კლუბის ხელმძღვანელობის რიგებშია და საკადრო მზაობის საკითხს განაგებს. საპასუხისმგებლო პოსტის ჩაბარებისას მას ზურგს უმაგრებს საკუთარი სპორტული გამოცდილება, რაც მიუღია არა მარტო უშუალოდ მწვანე მოედნებზე გამართული უამრავი პრინციპული მატჩის წყალობით, არამედ თავისი გუნდების მწვრთნელებთან უშუალო ურთიერთობით, დამოკიდებულებით, ნდობის ფაქტორით.

***

2005 წელს თბილისის "ვით ჯორჯიაში" ნახევარმცველის პოზიციაზე პირველად ითამაშა 16 წლის ირაკლი კლიმიაშვილმა. მას შემდეგ არც ამპლუა შეუცვლია და არც ცამეტნომრიანი მაისური (ცხადია, გარდუვალობა თუ არ აიძულებდა) – არც აქ – საქართველოში, და არც იქ – უცხოეთში.

პირველი გუნდის ერთგული 6 სეზონის განმავლობაში დარჩა: "ვით ჯორჯიას" რიგებში 108 თამაში ჩაატარა და 8 გოლი გაიტანა. სწორედ იქიდან მიიწვიეს საქართველოს ახალგაზრდულ (21-წლამდელთა) ნაკრებში, სადაც 12 მატჩი ითამაშა 2007-10 წლებში; ასევე, ეროვნულში (5 მატჩი 2008-09 წლებში).

ირაკლი კლიმიაშვილის საფეხბურთო გეოგრაფიული არეალი ფრიად ფართო და შთამბეჭდავია: ბურთო კლუბებში; ითამაშა რამდენიმე ქვეყნის (რუსეთი, ლატვია, უზბეკეთი) ძლიერ გუნდებში და, ამასთან, უსახელოდა და უსახურად კი არა, ჩემპიონის მედლებიც ირგუნა, თასებიც ასწია.

***

ირაკლი კლიმიაშვილის საფეხბურთო კარიერაში მოპოვებული ტიტულების ჩამონათვალი ასეთია:

საქართველოს ჩემპიონი (2008-09 წლის სეზონი), საქართველოს თასის გამარჯვებული (2009-10), სუპერთასის გამარჯვებული (2009-10) და ფინალისტი (2010-11);

ლატვიის 2-გზის ჩემპიონი (2013 და 2014 წლებში), ლატვიის თასის გათამაშების ფინალისტი (2013);

უზბეკეთის თასის გამარჯვებული (2011 წელი) – ფინალური თამაში მაშინ ქართველი ფეხბურთელის ბენეფისად იქცა: საამისო წინაპირობა ტაშკენტის "ფახთაქორის" ნახევარმცველმა შექმნა, როცა მეტოქის კარში გატანილი ერთადერთი გოლით თავის გუნდს ფინალისტობა გაუნაღდა. ზედ ფინალის წინ გაუთვალისწინებელი პრობლემა შეექმნა ჯანმრთელობის მხრივ და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, გადამწყვეტი მატჩის გამოტოვება მოუხდებოდა, ბედად, საფინალო ორთაბრძოლის გამართვის ვადა უზბეკეთის ფეხბურთის ფედერაციამ ობიექტური მიზეზით გადასწია. ამასობაში კი ქართველი ფეხბურთელი მომჯობინდა და "ფახთაქორის" მწვრთნელთა და გულშემატკივართა შიშიანი მოლოდინი უკან დარჩა, – ვაი თუ ჩვენი ლიდერი მწყობრში არ იყოსო. იყო და მერე როგორ! – ირაკლი კლიმიაშვილმა ფინალში თავისი გუნდი მე-6 წუთზე გატანილი "სწრაფი ბურთით" დააწინაურა, ბოლო წუთებში კი ჩვენებურმა დუბლი გაიფორმა და "ფახთაქორის" 3:1-ზე გამარჯვებაში ლომის არჩივი დაიდო.

***

საქართველოსა და უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატებში ირაკლი კლიმიაშვილმა, საშუალოდ, 400 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 30-მდე გოლი გაიტანა. ფეხბურთის ნებისმიერ გულშემატკივარს ყოველთვის აინტერესებს ცნობილი მოთამაშეების პირადული მონაცემები. აი, ისიც, ირაკლი კლიმიაშვილის შთამბეჭდავი სტატისტიკა (წლები, გუნდები, თამაშების რაოდენობა, გოლები):

2005-11 – "ვით ჯორჯია" (თბილისი) – 108 (8),

2011-12 – "ანჟი" (მაჰაჩკალა, რუსეთი) – 0 (0),

2011-12 – "ფახთაქორი" (ტაშკენტი, უზბეკეთი) – 22 (2),

2012-13 – "დილა" (გორი) – 18 (2),

2013 – "სიონი" (ბოლნისი) – 16 (1),

2013-15 – "სკონტო" (რიგა, ლატვია) – 43 (2),

2015-16 – "ტორპედო" (ქუთაისი) – 40 (6),

2016-17 – "ლოკომოტივი" (თბილისი) – 11 (0),

2017 – "შუქურა" (ქობულეთი) – 34 (0), 4 გაფრთხილება,

2018 – "მერანი" (მარტვილი) – 15 (0), 2 გაფრთხილება,

2018 – "რუსთავი" (რუსთავი) – 5 (0),

2019 – "დინამო" (ზუგდიდი) – 78 (7), 6 გაფრთხილება,

2022-23 – "გარეჯი" (საგარეჯო) – 9 (0).

***

ფეხბურთი ჯენტლმენური და რაინდული გუნდური თამაშია. სწორედ ასეთი დამოკიდებულების, პატივისცემისა და დისციპლინის გამოვლენა ახასიათებდა ირაკლი კლიმიაშვილს როგორც ფეხბურთელს – გუნდის ლიდერს, კაპიტანს, ხერხემალს – საკუთარი თავის წარმოჩინების, მაყურებლისადმი პატივისცემის გამოჩენის, მეტოქე გუნდის მოთამაშის დანდობის დასტურად. სწორედ ამაზე მეტყველებს ასეთი შეფარდება: 400 მატჩში მხოლოდ 12 გაფრთხილება (ანუ ყვითელი ბარათის მიღება) და არც ერთი გაძევება (წითელი)!

***

ჩვენი წერილის გმირის სპორტულ "პორტრეტს" ერთი შტრიხიც უნდა შევმატოთ – ოჯახური. მისი 11 წლის ტასუნა უკვე მედლებისა და ტიტულების შემგროვებელი, წარმატებული სპორტული და სამეჯლისო მოცეკვავეა. 2023 წლის დეკემბერში იტალიური მსოფლიო ჩემპიონატიდან 5 მედლით დაბრუნდა. მანამდე, სექტემბერში, გამოჩნდა სატელევიზიო პროექტში "პატარების დიდი შოუ".

ცეკვრილ ჰაცერრიებთან

კომპოზიტორი ვაჟა დურგლიშვილი ქალაქ კასპის საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელებს სტუმრობდა.

უამრავი პოპულარული კომპოზიტორია ჩვენში. მაგრამ მათგან ყველა ვერ და არ წერს სიმღერებს ბავშვებისათვის, მათ გულისწადილს ვერ ჩასწვდენია. ასეა, პატარებისათვის "მისაღები" სიმღერების შეთხზვა საგანგებო ნიჭსა და, გნებავთ, მონდომებას მოითხოვს. ერთიცაა, პატარების გახარება, მათთვის სიმღერების შექმნა მავან დიდ კომპოზიტორს არასერიოზულ საქმედ მიუჩნევია. არადა, სწორედაც რომ უფრო სათუთი, მეტად წმინდა და საფრთხილოდ მოსაკიდებელი საკითხია, თუნდაც, სააღმზრდელო თვალსაზრისით. ყველა თუ არა, ბევრი კარგი კომპოზიტორი, მოდი, შევთანხმდეთ, ვერც იმუშავებს მოზარდი თაობისათვის. შესაბამისად, საგანგებო მადლიერება გამოვხატოთ მათ მიმართ, ვისაც საბავშვო სიმღერები საკუთარ რეპერტუარში მრავალზე მრავალი მოეპოვება.

ამიტომაც განსაკუთრებული მადლობის ადრესატია საქართველოში ცნობილი კომპოზიტორი ვაჟა დურგლიშვილი. თქვენ ხუმრობასაქმე არ გეგონოთ, თუკი გვეცოდინება, რომ იგი გახლავთ 500 (!) საბავშვო სიმღერის ავტორი. მას არც საქვეყნო აღიარება და ტიტულები აკლია: არის საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქე (2017 წ.), თანამშრომლობდა და თანამშრომლობს ქართულ პოპულარულ საესტრადო ანსამბლებთან ("ორერა", "რერო", "დიელო", "ციცინათელა", "ლალე", "ჯორჯია"...), ხოლო საბავშვო სიმღერები შედის არაერთი ანსამბლის რეპერტუარში ("მზიური", "მთიები", "ლახტი", "ნერგები", "ბასტი-ბუბუ"...). მის მიერ გამოცემული ოთხი "სიდიალბომიდან" ერთი სწორედაც რომ საბავშვო სიმღერებით არის წარმოდგენილი.

თებერვლის ერთ მშვენიერ დღეს ბატონი ვაჟა საგანგებო მოპატიჟებით ეწვია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი) საქალაქო საბავშვო ბაღებს. კერძოდ, იგი ეწვია ქ. კასპის მეორე, მესამე და მეოთხე ბაგა-ბაღების აღსაზრდელებს. თვითონაც ხომ დაუკრა და იმღერა, რაც მთავარია, პატარა მაყურებლები და მსმენელებიც აიყოლია, გაახალისა, ამღერა.

ანუ, ისინიც სტუმარი კომპოზიტორის ერთგვარი შემოქმედებითი შეხვედრის აქტიური მონაწილენი გახდნენ. ანუ, იშვიათი სტუმრის საკონცერტო პროგრამამ გაამართლა, ჩვენი პატარები დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით აღივსნენ. ნასიამოვნები და კმაყოფილები დარჩნენ, ორივე მხარესთან ერთად, ჩვენი ბავშვების მშობლებიც. მათ პირმშოებს ხომ ესოდენ ასაკში მინიჭებული სიამოვნება და შთამაგონებელი შთაბეჭდილება გაჰყვება ძაალიან დიდხანს.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება

ომის ვეტერანის საიუბილეო თარიღი

სოფელ გარიყულაში მცხოვრებ შალვა გოჩიტაშვილს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ერთადერთი ვეტერანია კასპის მუნიციპალიტეტში, 100 წელი შეუსრულდა. ომის ვეტერანს საიუბილეო თარიღი მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზურაბ კოპაძემ, ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურის რეგიონული მართვის დეპარტამენტის უფროსმა ლევან ამირიძემ, ამავე სამსახურის შ/ქართლის სამსახურის უფროსმა ზვიად საბაშვილმა და ამავე სამსახურის წარმომადგენელმა კასპის მუნიციპალიტეტში, თადარიგის პოლკოვნიკმა ლავრენტი ბაიდაურმა მიულოცეს.

კასპის მუნიციპალიტეტის მერია ბატონ შალვას ულოცავს დაბადების დღეს, უსურვებს ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

გამოსათხოვარი
მურაზ საჩალელი

ამბობენ, ცხოვრების გზა მოულოდნელობებით არისო აღსავსე. ეს გზა სწორხაზოვანი არასოდეს არ არის. ამიტომ მთავარია, მასზე კაცის სახელით იარო ბოლომდე. ესაა ადამიანური ცხოვრების ნამდვილი პრინციპი.

შენ ამ პრინციპით იცხოვრე, ჩვენო მურაზ! ბედნიერია ის ადამიანი, ვინც ერთგულების, მეგობრობისა და კაცობის ფასი იცის. ჩვენში ასეთ ადამიანს უღალატო კაცს ეძახიან.

შენ ასეთი ადამიანი იყავი, ჩვენო მურაზ! კაცის ცხოვრება ერთი დიდი გამოცდაა. ბედნიერი ისაა, ვინც ამ გამოცდას ღირსეულად შეხვდება.

შენ უმაღლესი შეფასებით ჩააბარე კაცური ცხოვრების გამოცდა, ჩვენო მართალო, პატიოსანო და სიკეთით სავსე ადამიანო! ულევი სითბოსა და მეგობრულობის მატარებელო კაცურო კაცო!

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სპეტაკი სული.

ტარიელ ბეგლარაშვილი,
გიორგი ბადაშვილი,
აჩიკო ნონიაშვილი.

„დინამოს" ოთხთიანი მეცადინეობით

საფეხბურთო კლუბი "დინამო თბილისის" აკადემიის ხელმძღვანელობამ (დირექტორი ლევან გვანცელაძე) თავისი რეგიონული სკოლების მწვრთნელებისათვის წლევანდელი თებერვლის დასაწყისში სამდღიანი სემინარი გამართა. ღონისძიება სასწავლო ხასიათისა იყო და მიზნად ისახავდა დედაქალაქის ფარგლებგარეთ, საქართველოს ქალაქებში, მომუშავე მწვრთნელების გადამზადებას, კვალიფიციური დონის ამაღლებას.

"დინამო თბილისის" საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე თეორიული, პრაქტიკული, ტაქტიკური თუ სქემატური შინაარსის მეცადინეობები წარმართეს მისმა ლიცენზირებულმა სპეციალისტებმა და მუშაკებმა.

სემინარული გადამზადება-სწავლების პროცესში მონაწილეობდა კასპელი ახალგაზრდა მწვრთნელი ნიკა ლეკვეიშვილი (ფოტოზე – წინა რიგის ცენტრში). მოგეხსენებათ, შარშან თბილისურმა საფეხბურთო აკადემიამ კასპშიც გახსნა საფილიალო ჯგუფი.

ამრიგად, ნიკა გახლავთ კასპის "დინამოს" 2011–12-წლიანთა გუნდის მწვრთნელი (გამოცდილ მწვრთნელთან, შავლეგო მაჭარაშვილთან ერთად).

გაზეთი „ახალი განთიადი" თანაუგრძნობს მარინე როსებაშვილს დის

ვარდიკო მუკნიაშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თანამშრომელი

მურაზ საჩალელი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი „ახალი განთიადი" თანაუგრძნობს მაია კობაიძეს დედის

მარიამ მჭედლიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76